პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი კვირა 18 მარტი № 66 (17411)

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ. სახელმწიფო რეგისტრაციის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის კონსტიტუციის 124-ე მუხლის საფუძველზე აწესებს:

მოწვეულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია 1979 წლის 18 აპრილს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 16 მარტი.

ეკონომიკური საკითხები — ერთიანი მოვლენა

დელი. (საკადესი). გამომცემლობა „ჯან იუგმა“ ფენჯაბურ ენაზე მასობრივ ტირაჟად გამოუშვა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „უზმირი“. მისი წინასიტყვაობა დაწერა ინდოეთის სოფლის მეურნეობისა და ირიგაციის მინისტრმა მ. ს. ბარნალამ. „უამირი“, აღნიშნავს იგი, — ეს არის ამაღელვებელი ნაამბობი ტრიალი მინდვრების ნაყოფიერ მიწებად გადაქცევისათვის იმ მასობრივი მოძრაობის შესახებ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა და გამარჯვებით დაგვირგვინა ლ. ი. ბრეჟნევმა, ადამიანმა, მთელი თავისი სიცოცხლე ხალხს, მის ბედნიერებასა და აყვავებას რომ მიუძღვნა.

რევოლუციის ამოცანები

პნომპენი. (საკადესი). აქ გაიმართა კამპუჩიის ხელმძღვანელ მუშაკთა ეროვნული კონფერენცია, რომელმაც განიხილა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და რესპუბლიკის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ამოცანები. ამას იუწყება „კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო.

კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თავდაცვის საქმეთა რწმუნებულმა პენ სოვანმა.

სპანდალური საქმე

ტოკიო. (საკადესის კორ.). იაპონიის პროკურატურის ორგანოები უკვე შეუდგნენ დაპატიმრებას ამერიკის ავიასამშენებლო კონცერნების მიერ მაღალი თანამდებობის იაპონელ მოხელეთა მოსყიდვის საქმის გამო. დაკავებულია კომპანია „ნისიო-ივაის“ ორი ხელმძღვანელი მუშაკი. მათზე მიტანილი აქვთ ეჭვი, რომ „მაკდონელ-დუგლასის“ და „გრუმმანის“ სახელით ქრთამი აიღეს, რათა ამ კონცერნების პროდუქცია გაესაღებინათ იაპონიაში. საქმე ეხება იაპონიის ეროვნული თავდაცვის სამმართველოსათვის ბომბდამშენი ავიაგამანადგურებლებისა და სადაზვერვო თვითმფრინავების მიწოდებას. ჯერჯერობით გამოცანად რჩება, თუ იაპონიის მმართველი წრეების წარმომადგენელთაგანვის გადაეცა აღებული ფული. ერთი რამ ცხადია: ქრთამი აიღეს მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის იმ მოღვაწეებმა, რომლებზეც დამოკიდებული იყო თვითმფრინავების შესყიდვის გადაწყვეტილების მიღება.

სოლსბერის ფარსის გამო

ვაშინგტონი. (საკადესის კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ჩუმი მხარდაჭერით როდეზიელ რასისტთა მფარველებმა კონგრესში მიიღეს გადაწყვეტილება, რომელმაც კიდევ ერთხელ ამხილა ოფიციალური ვაშინგტონის პოლიტიკის ორპირობა როდეზიის პრობლემის მიმართ. სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ მოიწონა რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აყენებს ამერიკის დელეგაცია გაგზავნოს როდეზიაში „თავისუფალი არჩევნებისადმი“ თვალყურის სადევნებლად, რომელიც სმიტის ხროვამ დანიშნა 20 აპრილისათვის.

პროტესტს გამოთქვამენ

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

ვიენტიანი, 16 მარტი. (საკადესი). ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც პროტესტს გამოთქვამს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ჩინეთის მხარის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ.

ლაოსის მთავრობა, ნათქვამია საპროტესტო ნოტაში, ჩინეთის მხარისგან მოითხოვს შეწყვიტოს პირფერული პროპაგანდა, ლაოსის მცირერიცხოვან ეროვნებათა შორის წამქეზებლური საქმიანობა და სხვა მოქმედება, რომლებიც ძირს უთხრიან ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროებას, განუხრელად სცეს პატივი ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

უდიდესი მონაპოვარი

ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ზნეობრივი ამაღლებისათვის ფიქრი და პრაქტიკული მოღვაწეობა პარტიასა და მთავრობას უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ. ამიტომაც ახლა დიდად განვითარებული სოციალური უზრუნველყოფა გვაქვს.

საბჭოთა ადამიანის დიდი სოციალური უფლებანი ასახულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ამ უფლებათა რეალიზაცია კი გარანტირებულია პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკით. სისტემატურად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება სოციალური უზრუნველყოფის სფეროში. მაგალითად, მარტო შარშან სსრ კავშირის მაღალმა საბჭომ მიიღო დადგენილება „კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ხოლო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დოკუმენტებში დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ენერგიულად შრომობენ ჩვენი ქვეყნის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები.

მოსახლეობის სოციალური მომსახურება, რაც ჩვენი ადამიანების სასიცოცხლო ინტერესებსა და საჭიროებებს ეხება, უშუალოდ ეხებათ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს. საქართველოში 1978 წელს ყველა სახის სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევისათვის გაღებული ხარჯები 1970 წელთან შედარებით 1,8-ჯერ გაიზარდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მნიშვნელოვნად დაეტყო სოციალური მომსახურების მთელ სისტემას. მაგრამ ის, რაც გაკეთდა, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, საქმე მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს. ამ მხრივ მუშაობის ძირითადი რგოლია სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი განყოფილებები. ამიტომ ამ რგოლში მეტი ორგანიზებულობა, სიზუსტე, წესრიგი და ყურადღებაა საჭირო. აქაური მუშაკები მზრუნველობას არ უნდა აკლებდნენ არც ერთ პენსიონერსა თუ ინვალიდს. მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევიან ქალაქების ტყიბულის, ტყვარჩელის, ჭიათურის, თბილისის საჭარხნო და კიროვის, მახარაძის, ახალციხის და სამტრედიის რაიონების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებანი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ხარვეზი და ნაკლიც ბევრია. არის შემთხვევები, როცა ადგილებზე ადამიანებს უყურადღებოდ და უსულგულოდ ეკიდებიან, აჭიანურებენ საკითხის გადაწყვეტასა და მოგვარებას. მაგალითად, კახეთის რაიონის სოციუზრუნველყოფის განყოფილებაში და საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში ცხრა თვე ჭიაურდებოდა ოკამის საბჭოთა მეურნეობის მუშის, შრომის მეორე ჯგუფის ინვალიდის შ. თამაზაშვილისათვის ინვალიდობის ვადის გაგრძელების საკითხის განხილვა, კუთვნილი პენსიის მიცემა. ქალაქ რუსთავის, მცხეთისა და თეთრი წყაროს რაიონების განყოფილებებში გულისხმიერად არ ეკიდებოდნენ მშრომელთა წერილებსა და განცხადებებს, დროულად არ განიხილავდნენ მათ და, ცხადია, ხშირი იყო განმეორებითი სჩივრები.

სოციალური უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი უბანია საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების საქმიანობა. რესპუბლიკაში ყოველწლიურად ათასობით ადამიანი გადის ამ კომისიას. მომხიბლველობის გადიდებამ, კომისიათა შემადგენლობის განმტკიცებამ ერთგვარად აამაღლა მათი მუშაობის დონე. მაგრამ მაინც ყველა კომისია ჯეროვნად ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის მუშაობა ისე უნდა იყოს აგებული, რომ უზრუნველყოფდეს თითოეული ავადმყოფისა თუ ინვალიდისადმი გულისხმიერ, ყურადღებიან დამოკიდებულებას და განხილულ საქმეთა სწორად და დროულად გადაწყვეტას.

სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებები იყო ღრმად მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების მუშაობაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებათა შედეგად ამ უბანზე მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ სახლ-ინტერნატების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ნამდვილად გადაუდებელი ამოცანაა, რომ სახლ-ინტერნატებში დავამყაროთ სანიმუშო წესრიგი, შეეუქმნათ აქაურ მცხოვრებთ ეზმშარიტად გულთბილობისა და მყუდროების ვითარება.

პარტია და სახელმწიფო ყურადღებას არ აკლებენ დიდი სამამულო ომის ინვალიდებს და ომში დაღუპულთა ოჯახებს. პენსიით უზრუნველყოფის გარდა, ინვალიდს ბევრი მნიშვნელოვანი შეღავათი აქვს, რომლებიც ბოლო დროს დიდად გაფართოდა. მაგალითად, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ინვალიდებს უფასოდ მიეცათ 6 ათასზე მეტი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

პენსიონერები და ინვალიდები მუშახელის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი რეზერვია. დამსახურებულ დასვენებაზე გასული ვეტერანები გულხელდაკრეფილი როდი სხედან. ისინი ჩვენი ქვეყნის მჩქეფარე ცხოვრების მონაწილენი არიან და შეძლებისდაგვარად ყველაკ ახმარენ თავიანთ ძალ-ღონეს შემოქმედებითს შრომას. რესპუბლიკაში ახლა ასაკით პენსიონერთა დაახლოებით 42 პროცენტი და III ჯგუფის ინვალიდთა 60 პროცენტზე მეტი მონაწილეობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების საქმეში მეტ დაინტერესებას უნდა იჩენდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით სამინისტროები და უწყებები მოვალენი არიან კიდევ უფრო ფართოდ ჩაებან პენსიონერები საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

მშრომელები აღსავსენი არიან ღრმა მადლობის გრძნობით პარტიისა და მთავრობის იმ მზრუნველობის გამო, რომელსაც ისინი საბჭოთა ადამიანების სოციალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის იჩენენ. ამაზე ნათლად მეტყველებს მრავალი ფერადი, რომლებიც რედაქციაში სისტემატურად მოდის. ამასთან ერთად მზრუნველობა გვთხოვენ ვესაუბროთ სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მომხდარ სიახლეებზე. განვუმარტოთ მათთვის საინტერესო საკითხები. სწორედ მკითხველთა თხოვნით იყო ზედმეტი გუშინდელი „კომუნისტის“ გვერდი — „სოციალური უზრუნველყოფა გარანტირებულია კონსტიტუციით“. დღეს საუბარს ვაგრძელებთ. ვაწყდით მკითხველს საინტერესო და საჭირო საცნობარო მასალას — სიტყვა თვით კანონსა აქვს.

იუწყებიან: საკადესი და საქინფორმი

იდეოლოგიური ქადრების სწავლება

16 მარტს დამთავრდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის მორიგი ნაკადის — მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელების მეცადინეობა.

მსმენელებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ი. დოლგიხი და მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ვ. ა. კირილინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები კ. ს. სიმონოვი, ე. მ. ტიაჟელნიკოვი და ვ. თ. შაურო; სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მოადგილეები ნ. ი. ბოჩკოვი, ვ. ი. დრუგოვი, ვ. ვ. ზაგლადინი, ვ. თ. ისაევი, ნ. ა. პეტროვიჩევი, ო. ბ. რახმანინი, ვ. ნ. სვერუკი და გ. ხ. შახნაზაროვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ვ. ალექსანდროვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი ვ. გ. აფანასიევი, ჟურნალ „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი რ. ი. კოსოლაპოვი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორი ვ. ა. მედვედევი, სსრ კავშირის პპორტკომიტეტის თავმჯდომარე ს. პ. პავლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ო. ა. გრინევსკი და მ. ს. კაპიცა, აკადემიკოსები გ. ა. არბატოვი, ნ. გ. ბასოვი, ნ. ნ. ნეკრასოვი, რ. ზ. საგდეევი, ე. მ. პრიმაკოვი, ნ. ნ. ტრაპეზნიკოვი, ნ. პ. დუბინინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ნ. კუდრიავცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის მასწავლებლები.

იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის აქტუალურ საკითხებზე გამოვიდნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ნ. მაკეევი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. მ. ბორისენკოვი, სკკპ ქალაქ ლენინგრადის ვიბორგის რაიკომის პირველი მდივანი ე. მ. მიხაილოვი.

მსმენელთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა რ. არისმენდიმ.

მეცადინეობის პროცესში მსმენელები ქალაქ მოსკოვისა და მისი ოლქის პარტიულ ორგანიზაციებში ეცნობოდნენ ლექციურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას, წაიკითხეს ლექციები მშრომელთა კოლექტივებში.

ფინეთის დელეგაციის ვიზიტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჭითანავა 17 მარტს შეხვდა და ესაუბრა თბილისში ჩამოსულ ფინეთის საავჭრო დელეგაციას, რომელსაც სათავეში უდგას ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი პ. რანტანენი. მასთან ერთად იყვნენ ფინეთის ბანკის დირექტორი პ. უსივერტე, ფინეთის ვაჭრობის სამინისტროს მთავარი დირექტორი კ. ხენტილე.

დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში 1981-1985 წლების პერიოდისათვის ახალი ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმების შესახებ. ეს შეთანხმება განავითარებს 1990 წლამდე თანამშრომლობის გრძელვადიან პროგრამას, რომელსაც ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა.

საუბრის დროს ნ. ა. ჭითანავამ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირ-ფინეთის წარმატებულ საქმიან თანამშრომლობას.

პ. რანტანენმა განაცხადა, რომ ფინეთი ისწრაფვის კიდევ უფრო მეტად განამტკიცოს კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და განავითაროს ყოველმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მასთან. იგი დაინტერესდა ფინეთში საქართველოს სსრ საწარმოთა სამრეწველო პროდუქციის მიწოდების საკითხით.

ყველაზე ადგილობრივი

16 მარტს ბაკურიანში ჩამოვიდა ფინეთის ბანკის ადგილობრივი ბანკის ბანკირთა ჯგუფი. ფინეთის ბანკირებს ეუბნებოდნენ ბ. ბ. ბოლკვადერი, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ, ბ. ბ. ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-ბოლკვადერ-

სოციალური უზრუნველყოფა გარანტირებულია კონსტიტუციით

სსრ კავშირის კონსტიტუციის 43-ე მუხლში ნათქვამია:

სსრ კავშირის მოქალაქეებს სიბერეში, ავადმყოფობის, შრომისუნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, აგრეთვე მარჩენლის დაკარგვის შემთხვევაში აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების სოციალური დაზღვევა, დახმარება დროებითი შრომისუუნაროობის გამო; პენსიები ასაკის, ინვალიდობისა და მარჩენლის დაკარგვის გამო, რომლებიც გაიცემა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობის ხარჯზე; იმ მოქალაქეთა შრომითი მოწყობა, რომლებმაც ნაწილობრივ დაკარგეს შრომის უნარი; ზრუნვა მარტოხელა ღრმადმოხუცებული მოქალაქეებისა და ინვალიდებისათვის; სოციალური უზრუნველყოფის სხვა ფორმები.

პენსიების, პენსიონერების შესახებ

ძვირფასო მკითხველებო!

გაზეთ „კომუნისტის“ დღევანდელი ნომრის მეორე და მესამე გვერდებზე ქვეყნდება საბჭოთა სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობის მიხედვით შედგენილი საცნობარო მასალა — სიტყვას ვაძლევთ თვითონ კანონს.

წაიკითხეთ, დაიხსომეთ, გამოიყენეთ ცხოვრებასა და მუშაობაში.

მშრომელ კაცზე ფიქრით

სოცუზრუნველყოფის დღევანდელი და ხვალინდელი დღე

პარტიის XXV ყრილობის მიერ მიღებული საპროგრამო დოკუმენტში — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ დასახული ამოცანების შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში უდიდესი სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნები მიმდინარეობს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას, შრომელთა სოციალური უზრუნველყოფის განვითარების ამოცანების გადაწყვეტას.

ამიტომ არის, რომ სულ უფრო უმჯობესდება მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფა და, ცხადია, თანდათანობით იზრდება პენსიების ოდენობაც. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 6 თებერვლის დადგენილებით პენსიების მაქსიმალური ოდენობანი 140 და 160 მანეთამდე გაუდიდდათ ქვანახშირისა და ფიქლის მრეწველობისა და ქვანახშირისა და ფიქლის შახტების მშენებლობაზე მომუშავეთ, რომლებიც დაზაქმებული არიან განსაკუთრებით მავნე და შრომის მძიმე პირობების მქონე შახტებში, მიწისქვეშა სამუშაოებზე და ასეთ სამუშაოებთან დაკავშირებულ თანამდებობებზე.

1978 წლის 17 აპრილიდან ზემოაღნიშნული დადგენილება ნაწილობრივ გავრცელდა სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს შახტსამშენებლო ორგანიზაციათა მუშაკებზეც.

გარდა ამისა, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად, 1978 წლის 1 იანვრიდან პენსიები მოემატათ იმ პენსიონერებს, რომლებიც შედიან კოლმეურნე კოლმეურნეობის შემადგენლობაში, მუდმივად ცხოვრობენ სოფლად და დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობასთან.

რესპუბლიკაში პენსია გადაუანგარიშდა ასეთი კატეგორიის ათასობით პენსიონერს, რითაც ამ თანხის ოდენობა წელიწადში გაიზარდა დაახლოებით 8 მილიონი მანეთით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა უურადღება გაამახვილა კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხზე. ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1978 წლის 6 ივლისს მიიღო კანონი „კოლმეურნეთა პენსიების შემდგომი გადიდების შესახებ“.

სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო და რაიონული განყოფილებები ფართო მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებენ, რათა 1980 წლის პირველი ოქტომბერ საკოლმეურნეო პენსიების მინიმალური ოდენობა გაიზარდოს კანონის შესაბამისად 40 პროცენტით და მიეცეს ის კოლმეურნე პენსიონერს.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია ფართო მოცულობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება.

როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე ითქვა, მომდევნო ხუთწლედში კოლმეურნეთა პენსიები შუშა-მოსამსახურეთა პენსიების დონეს გაუთანაბრდება.

1980 წლის 1 იანვრიდან საკოლმეურნეო პენსიები დაენიშნებათ იმ ყოფილ კოლმეურნეებს, რომელთაც აქვთ კოლმეურნეობაში და სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის საჭირო სტაჟი, პენსიებზე მოვლის დანამატები დაუწესდებათ კოლმეურნეობის წევრ I ჯგუფის ინვალიდებს.

შემდგომში გათვალისწინებულია გადიდდეს ბავშვობიდან ინვალიდებისათვის დანიშნული დახმარების ოდენობა, რომელიც ბავშვის წლოვანების მიუხედავად გაიცემა.

გაფართოვდება მრავალშვილიანი დედებისათვის დაწესებული შეღავათები.

დიდი უურადღება დაეთმობა სოციალური მომსახურების ისეთი დარგების სრულყოფას, როგორიც არის მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების გაფართოება, სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფთა მომსახურების დონის ამაღლება.

როგორ და ვის ენიშნება

ამოქალაქეს პენსია ენიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს პენსიის დანიშვნისათვის სოციალურ-სამართლებრივი საფუძველი და თუ გამოთქვამს სურვილს მიიღოს კონკრეტული სახეობის პენსია.

საპენსიო უზრუნველყოფას ახორციელებს რამდენიმე უწყება. მაგრამ მოსახლეობის ძირითადი მასის — მუშა-მოსამსახურეების, კოლმეურნეებისა და ზოგიერთი სხვა კატეგორიის პირთა საპენსიო უზრუნველყოფას ძირითადად ახორციელებენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები. ეს ორგანოები ახორციელებენ შემდეგი სახეობების საპენსიო უზრუნველყოფას: ასაკის, წელთა ნამსახურობის, ინვალიდობის, მარჩენლის გარდაცვალების გამო.

თუ მოქალაქეს ერთსა და იმავე დროს უფლება აქვს მიიღოს რამდენიმე სახეობის პენსია, მას დაენიშნება მხოლოდ ერთი პენსია თავისი სურვილისამებრ.

პენსიების სახეობები შემდეგნაირია:

ასაკის პენსია: სახელმწიფო პენსიების კანონით ასაკის პენსიები ენიშნებათ მუშებსა და მოსამსახურეებს და სხვა მოქალაქეებს, რომლებზეც ვრცელდება სახელმწიფო სოციალური დაზღვევა: მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 60 წელი და აქვთ არანაკლებ 25 წლის მუშაობის სტაჟი, ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ არანაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟი.

პენსიის გამოანგარიშება ხდება დადგენილი ნორმების მიხედვით იმ უკანასკნელი 12 თვის საშუალო თვიური ხელფასიდან, რომელიც მათ ჰქონდათ პენსიის მიღებისათვის მიმართვის წინ, ან მიმართვამდე უკანასკნელი 10 წლიდან ერთ-ერთი ხუთი წლის ხელფასიდან ზედიზედ (არჩევით).

პენსიის მინიმალური ოდენობა 45 მანეთია, მაქსიმალური ოდენობა — 120 მანეთი.

კოლმეურნეობათა წევრების პენსიებისა და დახმარების კანონის შესაბამისად ასაკის გამო პენსია ენიშნებათ კოლმეურნეობათა წევრებს: 60 წელს მიღწეულ და მუშაობის არანაკლებ 25 წლის სტაჟის მქონე მამაკაცებს და 55 წელს მიღწეულ და მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟის მქონე ქალებს.

პენსია გამოიანგარიშება კანონით დადგენილი ნორმების მიხედვით კოლმეურნეობაში მუშაობის საშუალო-თვიური ფაქტიური გამომუშავებიდან ყოველი 5 წლისთვის ზედიზედ უკანასკნელი 10 წლიდან იმ წლის წინ, როდესაც კოლმეურნემ პენსიისათვის მიმართა.

პენსიის მინიმალური ოდენობა 20 მანეთია, მაქსიმალური ოდენობა — 120 მანეთი.

მეცნიერ მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ დებულების შესაბამისად ასაკის გამო პენსიები ენიშნებათ მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 60 წელი და აქვთ გარკვეულ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლები 25 წლის სტაჟი, 55 წლის ქალებს, რომლებსაც აქვთ გარკვეულ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი.

პენსია გამოიანგარიშება იმ თანამდებობრივი განაკვეთის 40 პროცენტის ოდენობით, რომელიც პენსიაზე გადასვლის წინ ჰქონდათ.

მეცნიერ მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ დებულებით პენსიების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა დადგენილი არ არის. დადგენილია მხოლოდ იმ თანამდებობრივი განაკვეთების ზღვრული ოდენობა, საიდანაც პენსიის გამოანგარიშება წარმოებს.

ინვალიდობის პენსია: სახელმწიფო პენსიების კანონით ინვალიდობის პენსიები შეიძლება დაენიშნოთ მუშებს, მოსამსახურეებს, გარკვეული კატეგორიის მოსწავლეებს, ასპირანტებს, კლინიკის ორდინატორებსა და ვადიანი სამსახურის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს ინვალიდობის I, II ან III ჯგუფის დადგენისას. ამასთან მუშებსა და მოსამსახურეებს, მოსწავლეებს, ასპირანტებს და კლინიკის ორდინატორებს, თუ ინვალიდობა გამოწვეულია საერთო დაავადებით, პენსია დაენიშნებათ მათი ასაკის შესაბამისი მუშაობის (სწავლის) სტაჟის არსებობისას, ხოლო თუ ინვალიდობა დაკავშირებულია პროფესიულ დაავადებასთან ან შრომითს დასახიჩრებასთან, პენსია დაენიშნებათ სტაჟის მიუხედავად.

ვადიანი სამსახურის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს პენსია დაენიშნებათ, თუ ისინი დაინვალიდდნენ სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში ან არაუგვიანეს 3 თვისა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ან თუ დაინვალიდდნენ ამ ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ იმ ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად, რაც მოხდა სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში.

მუშებსა და მოსამსახურეებს პენსიები გამოუანგარიშდებათ კანონით დადგენილი ნორმების მიხედვით. პენსიის გამოსაანგარიშებლად საჭირო ხელფასი განისაზღვრება იმავე წესით, რომელიც მოხუცებულობის პენსიისათვის არის დადგენილი.

სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშაობდნენ მუშებად და მოსამსახურეებად, პენსიები გამოუანგარიშდებათ კანონით დადგენილი ნორმების მიხედვით იმ უკანასკნელი 12 თვის საშუალო თვიური ფაქტიური ხელფასიდან, რომელიც მათ ჰქონდათ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე, ხოლო ვინც გაწვევამდე არ მუშაობდა, პენსია ენიშნება კანონით გათვალისწინებული მტკიცე ოდენობით.

მოსწავლეებს, თუ მუშებად და მოსამსახურეებად არასოდეს არ უმუშავიათ, პენსიები დაენიშნებათ კანონით გათვალისწინებული ოდენობით.

პენსიების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა დამოკიდებულია ინვალიდობის ჯგუფზე, მიზეზობრივ კავშირსა და ხელფასის ოდენობაზე.

კოლმეურნეობათა წევრების პენსიებისა და დახმარების კანონის შესაბამისად ინვალიდობის პენსიები ენიშნებათ კოლმეურნეობათა წევრებს, თუ ინვალიდობა საერთო დაავადებით არის გამოწვეული, პენსია დაენიშნებათ მხოლოდ I და II ჯგუფის ინვალიდებს მათი ასაკის შესაბამისად მუშაობის სტაჟის არსებობისას, ხოლო შრომითი დასახიჩრებისა და პროფესიული დაავადებით გამოწვეული ინვალიდობის დროს აგრეთვე III ჯგუფის ინვალიდებს, სტაჟის მიუხედავად.

პენსიის მაქსიმალური ოდენობა, მიუხედავად **ინ**ვალიდობის მიზეზებისა, I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის 120 მანეთია, III ჯგუფის ინვალიდებისათვის — 60 მანეთი თვეში.

მეცნიერ მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ დებულების შესაბამისად ინვალიდობის პენსიები ენიშნებათ მეცნიერ მუშაკებს I, II და III ჯგუფის ინვალიდებს; თუ ინვალიდობა გამოწვეულია შრომითი დასახიჩრებით ან პროფესიული დაავადებით — სტაჟის მიუხედავად, ხოლო საერთო დაავადებით გამოწვეული ინვალიდობის შემთხვევაში — ასაკის მიუხედავად, მაგრამ დებულებით გათვალისწინებულ თანამდებობებზე მუშაობის არანაკლები 10 წლის საერთო სტაჟით.

პენსიები დაენიშნებათ შემდეგი ოდენობით, მიუხედავად ინვალიდობის მიზეზისა:

I ჯგუფის ინვალიდებს — თანამდებობრივი განაკვეთის 40 პროცენტი, II ჯგუფის ინვალიდებს — 30 პროცენტი, III ჯგუფის ინვალიდებს — 20 პროცენტი.

პენსია მარჩენლის გარდაცვალების გამო: სახელმწიფო პენსიები შეიძლება დაენიშნოთ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარდაცვლილი მარჩენლის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის არაშრომისუნარიან წევრებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მარჩენლის გარდაცვალების გამო პენსიით უზრუნველსაყოფ პირებს.

მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებს პენსია მარჩენლის გარდაცვალების გამო დაენიშნებათ: თუ მარჩენალი მრომითი დასახიჩრებით ან პროფესიული დაავადებით გარდაიცვალა — სტაჟის მიუხედავად; თუ საერთო დაავადებით გარდაიცვალა — მუშაობის იმ სტაჟის არსებობისას, რომელიც საკმარისი იყო მისთვის ინვალიდობის პენსიის დასანიშნად გარდაცვალების დღისათვის.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს პენსიები მარჩენლის გარდაცვალების გამო დაენიშნებათ, თუ მარჩენალი გარდაიცვალა სამხედრო სამსახურის პერიოდში ან არაუგვიანეს 3 თვისა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ან თუ მარჩენალი გარდაიცვალა ამ ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ იმ ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად, რომელიც ჰქონდა სამხედრო სამსახურის პერიოდში.

პენსიების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა დამოკიდებულია მარჩენლის გარდაცვალების მიზეზზე, ოჯახის იმ წევრთა რიცხვზე, რომლებსაც პენსია ენიშნებათ და ხელფასზე.

პენსიები მარჩენლის გარდაცვალების გამო ენიშნებათ გარდაცვლილ კოლმეურნეთა ოჯახის შრომისუუნარო წევრებსაც, რომლებიც გარდაცვლილი კოლმეურნის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ და მიეკუთვნებიან მარჩენლის გარდაცვალების გამო პენსიით უზრუნველსაყოფ პირებს.

თუ მარჩენალი გარდაიცვალა შრომითი დასახიჩრებით ან პროფესიული დაავადებით, მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის შრომისუუნარო წევრებს პენსია ენიშნებათ მარჩენლის სტაჟის მიუხედავად, ხოლო თუ საერთო დაავადებით გარდაიცვალა, ოჯახს პენსია დაენიშნება, თუ მარჩენალს გარდაცვალების დღისათვის ჰქონდა სტაჟი, რაც აუცილებელი იყო მისთვის ინვალიდობის პენსიის დასანიშნად.

პენსია გამოიანგარიშება კანონით დადგენილი ნორმებით კოლმეურნეობაში მუშაობის საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავებიდან ყოველი 5 წლისათვის ზედიზედ მარჩენლის გარდაცვალების წლის წინ უკანასკნელი 10 წლიდან.

პენსიის მინიმალური ოდენობაა — მარჩენლის გარდაცვალების მიზეზის მიუხედავად: ოჯახის სამ ან მეტ შრომისუუნარო წევრზე — 30 მანეთი, ორ წევრზე — 20 მანეთი, ერთ წევრზე — 16 მანეთი თვეში.

პენსიის მაქსიმალური ოდენობა მარჩენლის გარდაცვალების მიზეზის მიუხედავად: ოჯახის ორ, სამ ან მეტ შრომისუუნარო წევრზე 120 მანეთია, ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე — 60 მანეთი თვეში.

მეცნიერ მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ დებულების შესაბამისად, თუ გარდაცვალი პირი, რომელიც იღებდა ან უფლება ჰქონდა მიეღო ამ დებულებით გათვალისწინებული პენსია, მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის შრომისუუნარო წევრებს, რომლებიც განეკუთვნებიან მარჩენლის გარდაცვალების გამო პენსიით უზრუნველსაყოფ პირებს, უფლება აქვთ მიიღონ პენსია მარჩენლის გარდაცვალების გამო.

პენსია გამოიანგარიშება პროცენტობით იმ პენსიიდან, რომელიც ეკუთვნოდა გარდაცვალებულს, რომ ყოფილიყო პირველი ჯგუფის ინვალიდი: ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე — 40 პროცენტი, ოჯახის ორ შრომისუუნარო წევრზე — 60 პროცენტი, ოჯახის სამ და მეტ შრომისუუნარო წევრზე — 80 პროცენტი.

ნელთა ნამსახურობის პენსია: მისი დანიშვნის პირობები სრულიად განსხვავდება ინვალიდობის და ასაკის გამო პენსიების დანიშვნის პირობებისაგან. წელთა ნამსახურობის პენსია ინიშნება ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, გარკვეულ თანამდებობაზე და ორგანიზაციაში მუშაობის განსაზღვრული სტაჟის არსებობისას.

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების საშუალებით წელთა ნამსახურობის პენსიები ენიშნებათ:

განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს; განათლების მუშაკებს, რომლებსაც აქვთ სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 25 წლის სტაჟი; ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს, რომლებსაც აქვთ სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 25 წლის სტაჟი სოფლად და ქალაქის ტიპის დასახლებაში; არანაკლებ 30 წლის სტაჟი — ქალაქად. ამასთან საჭირო სტაჟის ორი მესამედი ნამუშევარი უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ თანამდებობაზე, რომელიც ამ პენსიის დანიშვნის უფლებას იძლევა.

განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა მუშაკებს წელთა ნამსახურობის პენსიები ენიშნებათ მხოლოდ მუშაობის სრულიად შეწყვეტის შემთხვევაში. პენსია გამოუანგარიშდებათ განაკვეთის 40 პროცენტის ოდენობით პენსიის მისაღებად მიმართვამდე იმ უკანასკნელ თანამდებობაზე მუშაობისათვის, რომელიც ამ პენსიის დანიშვნის უფლებას იძლევა. ამასთან პენსიის გამოსაანგარიშებლად აიღება ის განაკვეთი, რომელიც მუშაკს ჰქონდა უმაღლეს სატარიფო განაკვეთამდე.

პენსიის მინიმალური ოდენობაა 30 მანეთი, მაქსიმალური ოდენობა — 120 მანეთი თვეში.

თეატრებისა და სხვა თეატრალურ-სანახაობითი საწარმოებისა და კოლექტივების მსახიობებს წელთა ნამსახურობის პენსიები ენიშნებათ: ბალეტის მსახიობებს, ცირკის მსახიობებს და ზოგიერთი კატეგორიის სხვა პირებს, რომლებსაც აქვთ ამ სფეროში მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი, ხოლო ოპერის თეატრების, მუსიკალური კომედიის თეატრებისა და საკონცერტო ორგანიზაციების სოლისტ-ოკალისტებს და ზოგიერთი კატეგორიის სხვა პირებს — ამ სფეროში მუშაობის არანაკლებ 25 წლის სტაჟი.

სამოქალაქო ავიაციისა და პაერნაოსნობის მფრინავ-ამწე შემადგენლობის მუშაკებს წელთა ნამსახურობის პენსიები ენიშნებათ მამაკაცებს — არანაკლებ 25 წლისა, ხოლო ქალებს არანაკლებ 20 წლის ნამსახურობისათვის იმ თანამდებობებზე, რომლებიც იძლევიან ამ პენსიის მიღების უფლებას.

თუ ხელფასი 200 მანეთის აღემატება, პენსია გამოიანგარიშება 200 მანეთიდან. პენსიის მაქსიმალური ოდენობა თვეში 120 მანეთია.

ქალთა საპენსიო უზრუნველყოფა

უკიველწყლიურად სულ უფრო იხვეწება და სრულყოფილი ხდება საბჭოთა საპენსიო კანონმდებლობა.

ამის მკაფიო დადასტურებაა, მაგალითად, „ფრონტზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 აპრილის № 312 დადგენილება. მის შესაბამისად უფრო ჰუმანური გახდა სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის დებულების მე-60 პუნქტი, რომლის ძალითაც წინათ პენსია არ ენიშნებოდა მშობლებს, რომლებსაც შვილები დაეღუპათ ფრონტზე, მაგრამ არ იყვნენ მათს კმაყოფაზე. 1975 წლის პირველი მაისიდან აღნიშნული პუნქტის პირველ აბზაცს დაემატა შემდეგი ტექსტი: „მშობლებს, რომელთა შვილებიც დაიღუპნენ ფრონტზე, მარჩენლის გარდაცვალების გამო პენსია ენიშნებათ, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდნენ თუ არა დაღუპული სამხედრო მოსამსახურის კმაყოფაზე“.

მრავალი შეღავათია დაწესებული საბჭოთა ქალებისათვის მოქმედი საპენსიო კანონმდებლობით. დღისათვის პენსიის მიღების უფლება ენიჭება ყველა ქალს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ არანაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟი, მაგრამ მათ შორის ქალებს, რომლებმაც (მობეს და 8 წლამდე აღზარდეს 5 ან მეტი შვილი, ასაკის პენსია ენიშნებათ სხვა ქალებთან შედარებით 5 წლით ადრე, ამასთან შეიძლება 5 წლით ნაკლები მუშაობის სტაჟი ჰქონდეთ. ამ შემთხვევაში ღებული შვილების თანაბრად მხედველობაში მიიღებიან ის ბავშვები, რომლებიც იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან.

განსაკუთრებით შეღავათიანია უსინათლო, პირველი ჯგუფის ინვალიდ-მუშა-მოსამსახურე ქალების საპენსიო უზრუნველყოფა; მათ ასაკის პენსია ენიშნებათ 40 წლის შესრულების შემდეგ, თუ საბოლოო ანგარიშით უგროვდებათ 10 წლის მუშაობის სტაჟი. ხოლო ქალებს, რომლებიც დაავადებული არიან ჰიპოფიზიური ნანაზმით (ლილიპუტები), ასაკის პენსია ენიშნებათ 40 წლის მიღწევის შემდეგ და უნდა ჰქონდეთ მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ პროფესიათა ჩამონთვალის № 1 სიით დაკანონებულია ასაკის პენსია დაენიშნოთ მიწისქვეშა სამუშაოებზე, შრომის მავნე პირობებში და ცხელ საამქროებში მომუშავე 45 წლის მუშა-მოსამსახურე ქალებს, რომლებსაც აქვთ 15 წლის მუშაობის სტაჟი, თუ აღნიშნული 15 წლიდან ნახევარი მაინც ნამუშევარი აქვთ იმ თანამდებობებზე და პროფესიით, რომლებიც გათვალისწინებულია № 1 სიით.

№ 2 სიით პენსია ენიშნებათ 50 წლის, არანაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟის მქონე ქალებს, რომლებიც მუშაობენ სხვა სამუშაოებზე, სადაც შრომის მძიმე პირობებია, თუ საჭირო სტაჟის არანაკლები ნახევარი ნამუშევარი აქვთ № 2 სიით გათვალისწინებული პროფესიითა და თანამდებობებზე.

ქალებს, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობით, კონტუზიითა და დასახიჩრებით ან ფრონტზე ყოფნის დროს დაავადების გამო, ასაკის პენსია ენიშნებათ 50 წლის მიღწევის შემდეგ და უნდა ჰქონდეთ არანაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1967 წლის 7 დეკემბრის № 524/35 დადგენილების შესაბამისად პენსიის მიღების უფლება მოიპოვა აგრეთვე საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა იმ მუშა ქალების გარკვეულმა კატეგორიამ, რომლებსაც შეუსრულდათ 50 წელი და აქვთ 20 წლის მუშაობის სტაჟი, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 7 მარტის დადგენილებით შემცირდა ასაკის პენსიის მისაღებად საჭირო წლები მექანიზატორი ქალებისათვის.

1975 წლის 1 აპრილიდან აღნიშნული შეღავათით სარგებლობენ ქალები, რომლებიც მუშაობენ მემანქანე-ტრაქტორისტებად სოფლის მეურნეობაში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, აგრეთვე ქალები, რომლებიც მუშაობენ მემანქანეებად სამშენებლო, საგზაო და სატვირთო მანქანებზე 15 წლის განმავლობაში.

ასეთივე შეღავათით 50 წლის ასაკის მიღწევისას ასაკის პენსია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად ენიშნებათ ქალებს, რომლებმაც არანაკლებ 20 წელი იმუშავეს, მათ შორის არანაკლებ 15 წლისა—მემანქანე-ტრაქტორისტებად კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

აღსანიშნავია, რომ შეღავათები, რომლებიც დაწესებულია მუშა-მოსამსახურე ქალებისათვის პენსიის დანიშვნის დროს, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, თითქმის მთლიანად ვრცელდება კოლმეურნეობის წევრ ქალებზეც.

ხშირად გვეკითხებიან: რა შემთხვევაში მოიპოვებს ქალი მარჩენალი მეუღლის გარდაცვალების გამო პენსიის მიღების უფლებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინებაა მეუღლეთა უფლება-მოვალეობის საფუძველი, ამიტომ მარჩენლის გარდაცვალების გამო ცოლისათვის პენსიის დანიშნულად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომ იგი გარდაცვლილ მეუღლესთან იმყოფებოდეს რეგისტრირებულ ქორწინებაში და ქმრის სიცოცხლეში — მის სრულ კმაყოფაზე. (სასამართლოს გადაწყვეტილებით ქორწინების ფაქტი შეუძლიათ დაადგინონ მხოლოდ იმ პირებმა, რომლებიც შეუღლდნენ 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე და ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ მეუღლის, გარდაცვლილ ბამდე).

გარდაცვლილის კმაყოფაზე ნამყოფად არ ჩაითვლება მეუღლე, რომელიც კოლმეურნეობის შრომისუუნარიანი წევრი იყო.

სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 64-ე პუნქტის შესაბამისად გარდაცვლილის მეუღლეს პენსიის მიღების უფლება აქვს თუ მან მოხუცებულობის ასაკს მიაღწია ან დაინვალიდდა მარჩენლის გარდაცვალებამდე ან არაუგვიანეს 5 წლისა მისი სიკვდილის შემდეგ. გარდაცვლილის მეუღლეს, რომელსაც სრულწლოვანი შვილები არ ჰყავს, პენსია ენიშნება მოხუცებულობის ასაკის მიღწევის ან დაინვალიდების დროს მიუხედავად.

ამასთან პენსია, რომელიც მეუღლის გარდაცვალების გამო იყო დანიშნული, პენსიონერ ქალს ენიშნება ახლად დაქორწინების შემთხვევაშიც.

როგორ გაიცემა

პენსიის გაცემის წესები საპენსიო კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია.

როგორც პენსიის დანიშვნის, ისე მისი გაცემის დროს კანონმდებლობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას, პირობებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს პენსიის სახეობასთან, პენსიონერის საქმიანობასთან, პროფესიასთან, სამუშაო ადგილთან და სხვა.

მარჩენლის დაკარგვის გამო დანიშნული პენსია გაიცემა მთლიანად, იმის მიუხედავად, თუ რა საქმიანობას ეწევა პენსიონერი, ან როგორია მისი შემოსავალი. ასეთივე წესით ხდება პენსიის გაცემა პირველი ჯგუფის ყველა ინვალიდისათვის, აგრეთვე მეორე ჯგუფის სამხედრო ინვალიდებისათვის და მეორე ჯგუფის სხვა ინვალიდებისათვის, რომელთა ხელფასი 120 მანეთს აღემატება თვეში.

თუ მუშად ან მოსამსახურედ მომუშავე მეორე ჯგუფის ინვალიდის ხელფასი აღემატება 120 მანეთს თვეში, პენსია გაიცემა ისეთი ანგარიშით, რომ პენსიისა და ხელფასის ჯამი არ აღემატებოდეს იმ ხელფასს, საიდანაც პენსია არის გამოანგარიშებული ან გადაანგარიშებული. თუ პენსიონერი არ მუშაობს, მას დანიშნული პენსია ეძლევა მთლიანად. ასაკით პენსიონერს, რომელიც კოლმეურნეობის წევრია, დანიშნული პენსია ეძლევა მთლიანად კოლმეურნეობაში მუშაობისათვის მიღებული შემოსავლის მხედველობაში მიუღებლად.

თუ პენსია დანიშნულია შეღავათიანი პირობებით მიწისქვეშა, მავნე სამუშაოზე და ცხელ საამქროებში მუშაობისათვის, პენსიონერს მუშაობის პერიოდში ეძლევა დანიშნული პენსიის ნახევარი. პენსიისა და გამომუშავების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 300 მანეთს, და თუ მაინც აღემატება, შესაბამისად მცირდება გასაცემი თანხა.

ასაკით პენსიონერს უფლება აქვს წელიწადში ორი თვის განმავლობაში მიიღოს პენსიაც და ხელფასიც მთლიანად, თუ იგი მიღებულია სამუშაოზე დროებით, არაუმეტეს ორი თვისა. ამ შემთხვევაში ბრძანებაში აღნიშნული უნდა იყოს — პენსიონერი სამუშაოზე მიღებულია დროებით, 2 თვით ან უფრო ნაკლები ვადით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1969 წლის 31 დეკემბერს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, თუ პენსიონერი იმუშავებს სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში გარკვეულ პროფესიაზე, მას უფლება ეძლევა მიიღოს პენსიის 100, 75 ან 50 პროცენტი.

მაგალითად, მუშებს, უმცროს მოსამსახურე პერსონალს და ოსტატებს პენსია ეძლევათ მთლიანად, მიუხედავად იმისა, თუ სად მუშაობენ. ასევე მთლიანად ეძლევა პენსია მასწავლებელს, რომელიც მუშაობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სოფლად, ხოლო ქალაქად მომუშავე მასწავლებლებს ეძლევათ პენსიის ნახევარი.

მუშაობის პერიოდში პენსიის მთლიანად მიღების უფლებით სარგებლობენ აგრეთვე ფოსტალიონები, კავშირგაბმულობის ოპერატორები, ტელეგრაფისტები, დახლის მუშაკები, მაღაზიის მოლარეები, მზარეულები, ოფიციანტები და სხვები.

მუშაობის პერიოდში პენსიის 50 პროცენტის (ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში — 75 პროცენტი) მიღების უფლებით სარგებლობენ ცალკეული პროფესიის პირები; მაგალითად, კავშირგაბმულობის მასობრივი პროფესიის მუშაკები; სამრეწველო, სამშენებლო, სამონტაჟო, სარემონტო-სამშენებლო საწარმოების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და სხვები.

ასეთ შემთხვევაში პენსიისა და ხელფასის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 300 მანეთს. თუ ეს ჯამი გადაჰარბებს 300 მანეთს, შესაბამისად მცირდება გასაცემი პენსიის ოდენობა.

პენსიების გაცემას აწარმ

სოციალური უზრუნველყოფა გარანტირებულია კონსტიტუციით

საკოლმეურნეო პენსია

საბჭოთა სოციალური უზრუნველყოფის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1964 წელს მიღებული კანონი (ძალაში შევიდა 1965 წლის იანვრიდან) კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ. საბჭოთა ადამიანებზე ზრუნვის ეს ისტორიული დოკუმენტი საფუძვლად დაედო კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის ერთიან სისტემას.

ამ კანონით გათვალისწინებული პენსიების ოდენობა შემდგომში თანდათან გაიზრდება და მიაღწევს სახელმწიფო პენსიების დონეს, რომლებიც მუშებსა და მოსამსახურეებს ენიშნებათ.

კანონი ითვალისწინებს პენსიის მიღების უფლებას ყველასათვის, ვინც პენსიის დანიშვნის შესახებ მიმართვის დროისათვის კოლმეურნეობის წევრად ირიცხება და აქვს მუშაობის შესაბამისი სტაჟი და ასაკი.

1964 წლის კანონით კოლმეურნეობის წევრებს მოხუცებულობის ანუ ასაკობრივი პენსიები ენიშნებოდათ — მამაკაცებს 65 წლის, ხოლო ქალებს 60 წლის ასაკში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1968 წლის 1 იანვრიდან ასაკით პენსიების დანიშვნისათვის როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს 5 წლით შეუმცირდათ საპენსიო ასაკი. ე. ი. პენსიები მამაკაცებს ენიშნებათ 60, ხოლო ქალებს — 55 წლის მიღწევისას. ამასთან, გაიზარდა პენსიის მინიმალური ოდენობა.

დაწესდა 5 წლით ადრე ასაკით პენსიებზე გასვლა იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დაავადების გამო, თუ პენსიაზე მიმართვის დროისათვის ექნებათ მამაკაცებს არანაკლებ 25, ხოლო ქალებს არანაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟი.

ასევე პენსიების უფლება მოიპოვეს კოლმეურნეობის წევრმა III ჯგუფის ინვალიდებმა, რომლებმაც მიიღეს დასახიჩრება კოლმეურნეობაში მომხდარი უბედური შემთხვევისა ან პროფდაავადების გამო.

გარდა ამისა 16 წლის ასაკიდან დახმარების მიღების უფლება მოიპოვეს საკოლმეურნეო კომლში შემავალმა ბავშვობიდან I და II ჯგუფის ინვალიდებმა.

ახლა ასაკობრივი, ინვალიდობისა და მარჩენლის გარდაცვალების გამო საკოლმეურნეო პენსიებისა და მუშა-მოსამსახურეთათვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნის ძირითადი პირობები — ასაკი და მუშაობის სტაჟი — ერთნაირია.

1971 წლის იანვლისიდან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად, გარდა საკოლმეურნეო პენსიების გამოანგარიშების წესის შეცვლისა, კვლავ გაიზარდა საკოლმეურნეო პენსიების მინიმალური ოდენობა.

პენსიების მომატებასთან დაკავშირებით საკოლმეურნეო პენსიებზე 1971 წლისათვის მარტო ჩვენს რესპუბლიკაში დაიხარჯა რამდენიმე მილიონი მანეთი.

1978 წლის 1 იანვრიდან „კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა და კოლექტიური მეგზაურობისა და მეგზაურობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 სექტემბრის დადგენილებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კოლმეურნე პენსიონერთა სოციალური უზრუნველყოფა.

კოლმეურნე პენსიონერთა უმეტესი ნაწილი აღნიშნული დადგენილების ძალაში შესვლამდე, ე. ი. 1978 წლის 1 იანვრამდე პენსიებს ღებულობდა მუშა-მოსამსახურეთათვის დადგენილი ნორმის 85 პროცენტის ოდენობით, ვინაიდან მათ პირად სარგებლობაში არსებული საკარმიდამო მიწის ფართობი აღემატებოდა 0,15 ჰექტარს.

1978 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეობის წევრებსა და მათ ოჯახებს პენსიები ენიშნებათ სრული ოდენობით, ე. ი. 15 პროცენტით შემცირების გარეშე, თუ მეურნეობას, რომლის შემადგენლობაშიც შედის პენსიონერი, აქვს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი იმ ნორმის საზღვრებში, რაც გათვალისწინებულია კოლმეურნეობის წესდებით.

1978 წლის 6 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა კანონი საკოლმეურნეო პენსიების მინიმალურ ოდენობათა მომატების თაობაზე, რომლის საფუძველზე გაისად იანვრიდან ყოველგვარი საკოლმეურნეო პენსია გაიზრდება 40 პროცენტით. განხორციელდება აგრეთვე სხვა მთელი რიგი ღონისძიებები.

დღეისათვის საკოლმეურნეო პენსიები ენიშნებათ იმთა, ვინც პენსიის თაობაზე მიმართვის დროისათვის არის კოლმეურნეობის წევრი და აქვს პენსიის დანიშნვა საჭირო მუშაობის სტაჟი. კოლმეურნეობის წევრობა საკალდებულო და აუცილებელია საკოლმეურნეო პენსიის დასანიშნად.

1980 წლის 1 იანვრიდან საკოლმეურნეო პენსია დაენიშნებათ იმათაც, ვისაც ნამუშევარი აქვს კოლმეურნეობაშიც და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში, მიუხედავად იმისა, პენსიაზე მიმართვის დროისათვის იქნებიან თუ არა ისინი კოლმეურნეობის წევრები.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ათასობით საკოლმეურნეო პენსიონერია, რომელთა საპენსიო უზრუნველყოფაზე საკავშირო ცენტრალიზებული ფონდიდან მარტო შარშან მილიონობით მანეთი დაიხარჯა.

როგორ ხდება გადაანგარიშება?

სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 125-ე პუნქტის შესაბამისად პენსიონერებს მუშათა, მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებმაც პენსიის დანიშვნის შემდეგ სულ ცოტა 2 წელიწადს იმუშავეს და ჰქონდათ უფრო მეტი გამომუშავება იმასთან შედარებით, საიდანაც გამოანგარიშებულ იქნა პენსია, განცხადების საფუძველზე უნესდებათ პენსიის ახალი ოდენობა.

აღნიშნულ 2-წლიან პერიოდში დაიშვება წყვეტები, რაც საერთო ჯამით 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

პენსიის ახალი ოდენობის გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შესაბამისი 2 წლის საშუალოთვიური ფაქტიური გამომუშავება, რომელიც იანგარიშება ნამუშევარი 2 წლის გამომუშავების საერთო თანხის 24-ზე გაყოფით. ამასთან, პენსიონერის სურვილით, თვეები, რომელთა განმავლობაში მუშაკს ფაქტიურად არ უმუშავნია ან იმუშავა არასრული რაოდენობის სამუშაო დღეები ავადმყოფობის, სამუშაოდან დათხოვნისა და განთავისუფლებისა და იმ სხვა მიზეზების გამო, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით, გამოირიცხება გაანგარიშებიდან და შეიცვლება სხვა უშუალოდ მისი წინა ან მომდევნო თვეებით 2 წლისა და 6 თვის ფარგლებში. ამ შემთხვევებში პენსიის გადაანგარიშება წარმოებს გამომუშავებიდან, რომელიც განისაზღვრება მთელი ნამუშევარი თვეების გამომუშავების გაყოფით ამ თვეების რიცხვზე, ამასთან თვეები არასრული რაოდენობის სამუშაო დღეებით, რომლებიც გაანგარიშებაში რჩება, უთანაბრდება სრულ თვეებს.

პენსიონერის გამომუშავების შემდგომი გადიდების შემთხვევაში მისი განცხადების თანახმად ხდება პენსიის ახალი გადაანგარიშება. პენსიის ყოველი მომდევნო გადაანგარიშება წარმოებს არა უადრეს 2 წლისა წინა გადაანგარიშების შემდეგ.

ერთი სახის პენსიიდან მეორეზე გადასვლა განიხილება, როგორც პენსიის ახალი დანიშვნა და იმ პენსიის გადასაანგარიშებლად, რომელზეც გადავიდა, პენსიონერმა უნდა იმუშაოს 2 წელი ახალი სახის პენსიაზე გადასვლის შემდეგ.

პენსია შეიძლება გადაეანგარიშოთ იმ პირებსაც, რომლებიც არ მუშაობდნენ პენსიის დანიშვნამდე და პენსია დაენიშნათ მტკიცე ნორმით. ეს ეხებათ უწინარესად პენსიონერებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც სამხედრო სამსახურში გაწვევამდე არ მუშაობდნენ.

პენსიის გადასაანგარიშებლად საჭიროა, რომ პენსიონერი მუშაობდეს მუშად ან მოსამსახურედ.

პენსიის გადაანგარიშება დებულების 125-ე პუნქტის თანახმად არ ვრცელდება იმ მოქალაქეებზე, რომლებიც პენსიის დანიშვნის შემდეგ გადავიდნენ სამუშაოზე გასამხედროებულ დაცვაში, ან სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს სამსახურში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთაურთა ან რიგითთა შემადგენლობის თანამდებობებზე, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციისა ან გასამხედროებულ სახანძრო რაზმში, შემოქმედებითი კავშირის წევრებზე, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებზე, სპეციალისტებზე, მთავარ (უფროს) ბუღალტრებსა და მექანიზატორებზე.

პენსიონერებს, რომლებმაც საკოლმეურნეო პენსიის დანიშვნის შემდეგ იმუშავეს კოლმეურნეობაში არანაკლებ 2 წლისა და ჰქონდათ მეტი გამომუშავება იმასთან შედარებით, საიდანაც გამოანგარიშებული იყო პენსია, მათი სურვილით პენსია შეიძლება გადაუანგარიშდეთ უფრო მაღალი გამომუშავების მიხედვით.

ვის შეიძლება მიეცეს შეღავათი?

შეღავათიან პირობებში და შეღავათიანი ოდენობით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესი შემოღებულია 1956 წელს სახელმწიფო პენსიების კანონის საფუძველზე.

საპენსიო კანონმდებლობით შეღავათები გათვალისწინებულია საპენსიო ასაკი ხუთი, ათი და თხუთმეტი წლით, რასაც განაპირობებს სამუშაო ადგილი, შრომის პირობები და ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა.

შრომის პირობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ასაკის პენსიის დასანიშნად ჩვეულებრივთან შედარებით ხუთი წლით ნაკლები წლოვანება მოეთხოვებათ იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ შრომის მძიმე პირობებში (რაც გათვალისწინებულია № 2 სიით) შორეულ ჩრდილოეთში და მასთან გათანაბრებულ რაიონებში, ქალებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობენ საფეიქრო მრეწველობაში ან მექანიზატორებად სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ასაკის პენსია ხუთი წლით ადრე ენიშნებათ აგრეთვე სამამულო ომის ინვალიდებს და ქალებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 8 წლის ასაკამდე ხუთი ან მეტი ბავშვი.

საპენსიო ასაკი ათი წლით უმცირდებათ იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ მიწისქვეშა სამუშაოებზე, ცხელ საამქროებში და ჯანმრთელობისათვის სხვა მავნე პირობებიან სამუშაოებზე (რაც გათვალისწინებულია № 1 სიით) უსინათლო პირველი ჯგუფის ინვალიდებს და ჰიპოფიზური ნანიზმით დაავადებულ (ლილიპუტ) მამაკაცებს, ხოლო ქალებს ამავე პირობებში ასაკის პენსია 15 წლით ადრე ენიშნებათ.

ასაკის პენსიის დასანიშნად ჩვეულებრივ პირობებთან შედარებით 5 წლით ნაკლები მუშაობის სტაჟი მოეთხოვებათ იმ პირებს, რომლებმაც იმუშავეს № 1 სიით გათვალისწინებულ სამუშაოებზე, ქალებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 8 წლამდე 5 ან მეტი ბავშვი ჰიპოფიზური ნანიზმით დაავადებულ მამაკაცებს.

მუშაობის სტაჟი 10 წლით ნაკლები მოეთხოვებათ უსინათლო პირველი ჯგუფის ინვალიდებსა და ჰიპოფიზური ნანიზმით დაავადებულ ქალებს.

ინვალიდობისა და მარჩენლის დაკარგვის გამო სახელმწიფო პენსიის დასანიშნად მუშაობის სტაჟი მნიშვნელოვნად უმცირდებათ იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებსაც არა ნაკლებ ნახევარი საჭირო სტაჟისა ნამუშევარი აქვთ № 1 სიით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.

საპენსიო კანონმდებლობით გათვალისწინებულია ასაკის პენსიის გადიდება ჩვეულებრივ პენსიებთან შედარებით 5 პროცენტით მაქსიმუმის ფარგლებში იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც მუშაობდნენ № 1 სიით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.

ინვალიდობის და მარჩენლის დაკარგვის გამო სახელმწიფო პენსიები უდიდდებათ აგრეთვე იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობდნენ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში № 1 ან № 2 სიით გათვალისწინებულ სამუშაოებზე. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა დაინვალიდებისა და მარჩენლის გარდაცვალების მიზეზს, ინვალიდობის ჯგუფსა და ოჯახის შრომისუუნარო წევრთა რაოდენობას.

შეღავათიანი ოდენობით ინვალიდობის და მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიები ენიშნებათ მუშაობის სტაჟის მიუხედავად იმ მუშა-მოსამსახურეებს და მარჩენლის დაკარგვის შემთხვევაში მათ ოჯახებს, რომლებიც საწარმოო ტრავმის ან პროფესიული დაავადების შედეგად დაინვალიდდნენ (ან დაიღუპნენ) და დაინვალიდებისას (ან დაღუპვის პერიოდში) მუშაობდნენ № 1 ან № 2 სიით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.

აღნიშნული წესი ვრცელდება ვადიანი სამსახურის სამხედროებსა და მათ ოჯახებზე, თუ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე (უშუალოდ გაწვევის წინ) მუშაობდნენ № 1 ან № 2 სიით გათვალისწინებულ სამუშაოებზე და დაინვალიდდნენ (ან დაიღუპნენ) სამხედრო მოვალეობის შესრულების დროს.

შეღავათიანი პენსიების მიღების უფლების აუცილებელი პირობაა პენსიის დასანიშნად საჭირო საერთო მუშაობის სტაჟის არანაკლები ნახევარი ნამუშევარი გკონდეთ № 1 ან № 2 სიით გათვალისწინებულ სამუშაოებზე, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, თუ მუშა ან მოსამსახურე რომელ პერიოდში მუშაობდა შეღავათის მიმცემ სამუშაოზე, უშუალოდ პენსიის დასანიშნად მიმართვის წინ თუ შრომითი მოღვაწეობის რომელიმე სხვა პერიოდში, არა აქვს აგრეთვე მნიშვნელობა ხუმაობაში წყვეტილების ხანგრძლივობას;

№ 1 და № 2 სიით შეღავათიანი პენსიები ეძლევათ მხოლოდ წარმოების მუშაკებს. ამიტომ ლაბორატორიებში, სამეცნიერო-კვლევითსა და სასწავლო ინსტიტუტებში მუშაობა არ იძლევა შეღავათიანი პენსიის უფლებას;

საპენსიო კანონმდებლობით შეღავათიანი პენსიის უფლებას მოიპოვებენ ის პირნი, რომლებიც უშუალოდ და მთლიანი სამუშაო დღის მანძილზე დასაქმებული არიან საწარმოებში, საამქროებში, უბნებზე და განყოფილებებში, მუშაობენ იმ პროფესიით და თანამდებობებზე, რომელიც № 1 ან № 2 სიით არის გათვალისწინებული.

შეღავათიანი პენსიების უფლების მომცემ სამუშაოებზე ნახევარი განაკვეთით მომუშავე მუშა-მოსამსახურეები შეღავათიანი პირობებითა და შეღავათიანი ოდენობით პენსიის უფლებას ვერ მოიპოვებენ, თუ როგორც ძირითადი, ისე შეთავსებით სამუშაოები გათვალისწინებული არ არის შეღავათის მიმნიჭებელი სიით.

თუ №1 ან № 2 სიით გათვალისწინებული არიან საამქროს და უბნის მუშები პროფესიების დაუსახელებლად, ასეთ შემთხვევაში შეღავათიანი პენსიებით სარგებლობენ ამ საამქროებში და უბნებზე დასაქმებული ყველა პროფესიის მუშები. თუ სიებში გათვალისწინებულია მუშათა პროფესიები საერთო სახელწოდებით (მაგალითად, № 2 სია, XXX კარი, „ტრანსპორტი“ I ქვეკარი „სატვირთო მატარებლის კონდუქტორები“), ამ შემთხვევაში შეღავათიანი პენსიის მიღების უფლება ენიჭებათ ამ პროფესიის ყველა კატეგორიის მუშებს, ე. ი. არა მარტო რიგითს კონდუქტორებს, არამედ სატვირთო მატარებლების მთავარ, უფროს და უმცროს კონდუქტორებსაც და ა. შ. ეს წესი არ ვრცელდება ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებზე. მაგალითად, სამშენებლო ორგანიზაციების ოსტატები და სამუშაოთა მწარმოებლები გათვალისწინებული არიან № 2 სიით, მაგრამ შეღავათიანი პენსია არ შეიძლება დაენიშნოს უფროს ოსტატსა და უფროს სამუშაოთა მწარმოებელს, რადგან სიაში არ არიან გათვალისწინებული.

დაწესებულებების, ლაბორატორიების მუშაკები შეღავათიანი საპენსიო უზრუნველყოფის უფლებას იძენენ იმ შემთხვევაში, თუ მათი თანამდებობა გათვალისწინებულია სიის შესაბამის კარში და ქვეკარში.

მუშაობის სტაჟის გამოთვლისას შეღავათები ვრცელდება სეზონურ სამუშაოებზე დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეებზე, თუ ისინი მუშაობენ თევზის მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროების ნუსხით გათვალისწინებულ საწარმო-დაწესებულებებში, რომლებსაც სეზონში მუშაობა ეთვლებათ ერთი წლის მუშაობის სტაჟად.

შეღავათებია გათვალისწინებული აგრეთვე მაქსიმალური პენსიების განსაზღვრაში ქვანახშირის, ფიქლის მოპოვებისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთათვის, რომელთაც № I სიით გათვალისწინებულ სამუშაოებზე მუშაობის გამო პენსიები ენიშნებათ შეღავათიანი პირობებითა და შეღავათიანი ოდენობით. მათი პენსიის მაქსიმალური ოდენობა აღნიშნულ სამუშაოზე მუშაობის სტაჟის შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს 140-160 მანეთით.

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

ეიეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ჩვენს პენსიონერებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, ადამიანებს, რომლებმაც დამსახურებული დასვენების უფლება მოიპოვეს. არ მოვაკლოთ მათ გულითადობა, მზრუნველობა — ეს ჩვენი საერთო მოქალაქეობრივი და პარტიული მოვალეობაა.

ე. შევარდნაძე.

სამამულო ომის ინვალიდებისათვის

სამშობლოს დაცვის დროს დაჭრილ და ჭრილობისაგან დაინვალიდებულ მეომრებზე ზრუნვა ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უურადღების ცენტრში. ამ ზრუნვის გამოვლინებაა საპენსიო უზრუნველყოფის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის, შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის, სამედიცინო მომსახურებისა და სხვა სფეროში სამამულო ომის ინვალიდებისათვის მინიჭებული შეღავათები და უპირატესობანი.

სამამულო ომის ინვალიდებისათვის დაწესებული შეღავათებითა და უპირატესობებით სარგებლობენ აგრეთვე ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთაგან ის ინვალიდები, რომლებიც მთავრობის დადგენილებით გათანაბრებული არიან სამამულო ომის ინვალიდებთან.

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მიერ ომის ინვალიდებად ცნობილ პირებს მათთვის დაწესებული შეღავათები ეძლევათ ომის მიუხედავად, თუ რა სახეობის პენსიას ღებულობენ ისინი — ინვალიდობის, ასაკის, ნამსახურობისა თუ პერსონალურ პენსიას.

სამამულო ომის I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის ინვალიდობის პენსიის გამოსაანგარიშებლად გათვალისწინებულია უფრო მაღალი პროცენტი ასაკის პენსიის მიმართ, ვიდრე საერთო დაავადებით ინვალიდობის პენსიისათვის. მაგალითად, ომის I ჯგუფის ინვალიდს პენსია ენიშნება ასაკის პენსიის 120, ხოლო II ჯგუფის ინვალიდს — 110 პროცენტის ოდენობით.

ომის I, II და III ჯგუფის ინვალიდთა პენსიის მინიმალური ოდენობა აგრეთვე მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ინვალიდთა პენსიების მინიმალურ ოდენობას და შესაბამისად შეადგენს 90, 70 და 33 მანეთს.

I და II ჯგუფის ინვალიდობის პენსიის მაქსიმალური ოდენობაა 120 მანეთი, III ჯგუფის ინვალიდებისათვის — 60 მანეთი.

დამატებითი ხარჯების ანაზღაურების მიზნით სამამულო ომის ინვალიდთა პენსიებს ერიცხება შემდეგი დანამატები: I ჯგუფის ინვალიდს — დანამატი მოვლისათვის თვეში 20 მანეთის ოდენობით; I და II ჯგუფის ინვალიდებს, რომლებიც არ მუშაობენ, ქმაყოფაზე მყოფი ოჯახის შრომისუუნარო წევრების რაოდენობის მიხედვით (ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე — 10 მანეთი, ორზე — 20 მანეთი, სამზე და მეტზე II ჯგუფის ინვალიდს — 20 მანეთი, ხოლო I ჯგუფის ინვალიდს — 30 მანეთი); გარდა ამისა II ჯგუფის იმ ინვალიდებს, რომლებიც არ მუშაობენ, — დანამატი პენსიის 10 პროცენტის ოდენობით.

ყველა ზემოთჩამოთვლილი დანამატი ინვალიდებს უწესდებათ პენსიის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

სამამულო ომის ინვალიდებს შეღავათები ეძლევათ არა მარტო პენსიის დანიშვნის, არამედ პენსიის გაცემის დროსაც. მაგალითად, I და II ჯგუფის პენსიონერები მუშაობის პერიოდში პენსიას ღებულობენ მთლიანად, მიუხედავად მათი ხელფასის ან სხვა შემოსავლისა.

თუ სამამულო ომის III ჯგუფის მომუშავე ინვალიდის პენსია გამოანგარიშებულია 300 მანეთზე მეტი ხელფასიდან, პენსია მიეცემა იმ ანგარიშით, რომ პენსია და ხელფასი არ აღემატებოდეს იმ ხელფასს, საიდანაც გამოანგარიშებულია პენსია.

ომის III ჯგუფის მომუშავე ინვალიდებს პენსია მიეცემათ მთლიანად, თუ პენსია და ხელფასი თვეში არ აღემატება 300 მანეთს. მაგრამ ყველა შემთხვევაში გასაცემი პენსია არ შეიძლება იყოს III ჯგუფის ინვალიდობის პენსიის მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები ეს წესი არ ვრცელდება ომის III ჯგუფის იმ ინვალიდებზე, რომლებსაც დანიშნული აქვთ ასაკის პენსია.

ომის ინვალიდს, რომელსაც სურს გადავიდეს ასაკის პენსიაზე, — პენსია დაენიშნება ჩვეულებრივზე 5 წლით ადრე, ე. ი. მამაკაცებს 55, ხოლო ქალებს 50 წლის შესრულებისას. ასაკის პენსიის ოდენობა ომის ყველა ინვალიდს უდიდდება 15 მანეთით (მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში).

გათვალისწინებულია შეღავათები ომის ინვალიდების შრომითი მოწყობისათვისაც. სამუშაოზე ინვალიდთა მისაღებად. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დაწესებულია ჯავშანი მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 2 პროცენტამდე ოდენობით.

იმ ინვალიდებს, რომლებიც მუშაობენ მათი შრომის გამოსაყენებლად შექმნილ საწარმოებში, საამქროებსა და უბნებში, უწესდებათ შემდეგი შეღავათები:

I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის — 36 საათი კვირაში და ყოველწლიური შვებულება 24 სამუშაო დღის, ხოლო III ჯგუფის ინვალიდებისა და I და II ჯგუფის შინმომუშავე ინვალიდებისათვის კი — 18 სამუშაო დღის ოდენობით. მომუშავე I და II ჯგუფის ინვალიდებს შეიძლება მიეცეს მათი სურვილით უხელფასო შვებულება ორ თვემდე ვადით.

მომუშავე ომის ინვალიდებისათვის მნიშვნელოვანი შეღავათებია დაწესებული სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზითაც. მომუშავე ომის ინვალიდს, პროფკავშირის წევრს, დახმარება შრომისუუნარობისათვის ეძლევა ხელფასის 100 პროცენტის ოდენობით მუშაობის უწყვეტი სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად. ამასთან საერთო დაავადების გამო დროებით შრომისუუნარობის დროს მომუშავე ინვალიდს დახმარება ეძლევა არა უმეტეს ორი თვისა ზედიზედ და არა უმეტეს 3 თვისა კალენდარულ წელიწადში.

პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო საბჭოებისა და კომიტეტების ნებართვით კი მომუშავე სამამულო ომის ინვალიდებს შეიძლება მიეცეთ დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება თანმიმდევრობით ორი თვისა და კალენდარულ წელიწადში სამ თვეზე მეტი დროის ხანგრძლივობითაც.

სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდის ფაქტიური მოვლა-პატრონობის დრო ინვალიდის ოჯახის წევრს ჩაეთვლება საერთო შრომის სტაჟში იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, სადაც ინვალიდი ცხოვრობს.

სათანადო სამედიცინო ჩვენების მქონე (ქვემო კიდურების დაზიანების გამო სიარულისა და ფეხზე დგომის მნიშვნელოვანი შეზღუდვა) სამამულო ომის ინვალიდებს შეუძლიათ მიიღონ პირად სარგებლობაში უფასო ხელის სამართავი ავტომობილი „ზაპოროჟეცი“ ან მოტოტელი (ავტომობილი 7 წლის, ხოლო მოტოტელი — 5 წლის ვადით).

იმ შემთხვევაში, როდესაც I ჯგუფის ინვალიდს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია ავტომობილის მართვა, შეიძლება მას მიეცეს უფასო ავტომობილი „ზაპოროჟეცი“ იმ პირობით, თუ ინვალიდის მომსახურებისათვის მანქანის მართვა შეუძლია მასთან მუდმივად მცხოვრებ ოჯახის წევრს.

ავტომობილის მართვას ინვალიდებს ასწავლიან უფასოდ, აუნაზღაურებათ სწავლის ადგილამდე მგზავრობის ხარჯები (იქეთ-აქეთ), ამასთან რაიონებიდან მოვლინებული პირებისათვის საერთო საცხოვრებელი და კვება უფასოა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ განახორციელა ღონისძიებანი სამამულო ომისა და სხვა სამხედრო ინვალიდების მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამ მიზნით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები და მათი საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიები უშუალოდ აწარმოებენ ინვალიდებისათვის ავტომანქანის მიკუთვნებასა და მათ გაცემას.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალსა და გორში გახსნა ავტოტექმომსახურების სადგურები და პუნქტები;

თბილისში, დიმის მასივში — ავტოტექმომსახურების სადგური მოტოეტლებისა და ველოეტლების შეკეთებისა და პროფილაქტიკისათვის, ხოლო თბილისში ნუცუბიძის ქუჩაზე გახსნილია ავტოსათადარიგო ნაწილების მაღაზია სამამულო ომის ინვალიდებისათვის.

ცეკავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლიდან ცეკავშირის ქსნის ავტობაზის გარდა „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომანქანებს გასცემს სამტრედიის ავტომანქანების საბითუმო სარეალიზაციო ბაზა, რომელიც მომსახურებას გაუწევს დასავლეთ საქართველოს რაიონებში, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების ტერიტორიაზე მცხოვრებ სამამულო ომისა და სხვა სამხედრო ინვალიდებს.

ინვალიდებს, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ განაგრძონ მუშაობა თავიანთი იძრნდელი სპეციალობით, უფასოდ ასწავლიან ახალ პროფესიას.

სამამულო ომის ინვალიდებს (ინვალიდობის ჯგუფის მიუხედავად) აქვთ ყველა სახეობის საქალაქო ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლება (გარდა ტაქსისა), ხოლო იმათ, ვინც სოფლად ცხოვრობს, უფლება აქვთ იმგზავრონ უფასოდ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა), საცხოვრებელ ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში.

სამამულო ომის ინვალიდებს აქვთ რკინიგზის და წყლის ტრანსპორტის, საგარეუბნო მიმოსვლისა და ავტობუსების საგარეუბნო მარშრუტებით უფასო მგზავრობის უფლება.

ომის ინვალიდებისათვის დაწესებულია სეზონური სატარიფო შეღავათი 50 პროცენტის ოდენობით რკინიგზით, გზტურბინიანი ძრავის მქონე თვით-მფრინავებით (გარდა იაკ-40 ტიპისა), საქალაქთაშორისო ავტობუსებით, სამდინარო ფლოტის სატრანზიტო ან ადგილობრივი ხაზების გემებით მგზავრობისათვის. ეს შეღავათები ვრცელდება I ჯგუფის ინვალიდის გამეცილებელზეც (მხოლოდ ერთ პირზე).

I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ სახლებში, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, დაწესებულია მოსახლეობის მისაყიდად დადგენილი ნორმის ფარგლებში სათბობის შესყიდვის შეღავათი ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით.

ომის ინვალიდებს ყველა სამკურნალო დაწესებულება და პოლიკლინიკა ემსახურება ურიგოდ, ხოლო ექიმის რეცეპტით წამლები ეძლევათ უფასოდ.

მომუშავე ომის ინვალიდებს, სამუშაო ადგილზე პროფკავშირის ორგანიზაციები პირველ რიგში აძლევენ სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლის საგზურებს, ხოლო იმათ, ვინც არ მუშაობს, უფასო საგზურებს აძლევენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები.

სამამულო ომის ინვალიდებს და მათს კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს ხელისა და ფეხის პროთეზები, მათ შორის მუშა პროთეზები და ბევრი სხვა მოწყობილობანი ეძლევათ უფასოდ.

გარდა ამისა, სამამულო ომის ინვალიდებს ეძლევათ: უფასოდ საპროთეზო ფეხსაცმელი — ყველა ჯგუფის ინვალიდს, რთული ორთოპედიული ფეხსაცმელი და ფეხსაცმელი ორთოპედიული აპარატისათვის — I ჯგუფის ინვალიდს, ხოლო II და III ჯგუფის ინვალიდებს — ნაღდ ანგარიშზე 50 პროცენტის ფასდაკლებით.

დაწესებულია აგრეთვე შეღავათი შეკვეთის გაფორმებისა და პროთეზირებასთან დაკავშირებული გზის ხარჯების ასანაზღაურებლად იმათთვის, ვისაც უფასოდ ეკუთვნის საპროთეზო ორთოპედიული ნაწარმი.

სამამულო ომის ინვალიდებს აქვთ კბილების უფასო პროთეზირების უფლება.

ოჯახები, რომელთა შემადგენლობაში შედიან სამამულო ომის I და II ჯგუფის ინვალიდები, განთავისუფლებული არიან სასოფლო-სამეურნეო, ნაგებობათა და მიწის რენტის გადასახადისაგან.

სახელმწიფო დახმარება

სოციალური უზრუნველყოფა გარდა პენსიებისა ითვალისწინებს აგრეთვე სხვადასხვა კატეგორიის პირთათვის ყოველთვიური სახელმწიფო დახმარების დანიშვნას. ასეთები არიან მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები, ბავშვობიდან ინვალიდები და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახები.

დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მრავალშვილიან დედას, რომელსაც ჰყავს ორი შვილი და დაებადა მესამე, ეძლევა ერთდროული დახმარება, ხოლო მეოთხე და შემდგომი შვილების დაბადებისას ეძლევა ერთდროული დახმარება და ენიშნება ყოველთვიური დახმარება.

ერთდროული დახმარების გაცემა წარმოებს ბავშვის დაბადებისას, ხოლო ყოველთვიური დახმარების გაცემა იწყება იმ დღიდან, როდესაც მეოთხე და შემდგომი ბავშვები შესრულდებიან ერთი წლისა. თანხის გაცემა წარმოებს იმ ბავშვთა ხუთი წლის შესრულებამდე, რომელთაც დაენიშნათ დახმარება. ამრიგად, მრავალშვილიან დედას, რომელსაც ჰყავს ერთ წელზე მეტი ხნის ხუთწელმიუღწეველი ოთხი და მეტი შვილი, იმდენი ყოველთვიური დახმარება

ჩვენი ფოტოსტენდი

კისკასი სიყმაწვილე — ნ. მესხის ფოტო.

დევისის თასზე

ბარსელონაში დაიწყო ჩოგბურთში დევისის თასის გათამაშების კალენდარული მატჩი ესპანეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. ესპარეზობის პირველ დღეს ა. მეტრეველი შეხვდა ხ. ხიგეიროსს. თავდაპირველად შეხვედრა ცვალებადი უპირატესობით წარიმართა. თამაშის დროს მეტრეველს ადრე დაშავებული მუხლი დაუსივდა და იგი კორტზე გაჭირვებით მოძრაობდა. მეტრეველი დამარცხდა—5:7, 2:6, 0:6. ვ. ბორისოვმა წააგო მ. ორანტესთან — 3:6, 4:6, 2:6. დაწინაურდნენ მასპინძლები — 2:0.

ლიდერობს ნ. ალექსანდრია

ბელგრადში გრძელდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მეთაურობეტე ტურში ნანა ალექსანდრიამ დაამარცხა ჰერტრუდა ბაუმშტარკი (რუმინეთი). იგი 8,5 ქულითა და 1 გადადებული პარტიით ერთპიროვნულად ლიდერობს. მეორე ადგილზეა მაია ჩიბურდანიძე — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ორივემ 10-10 შეხვედრა გამართა.

მეორედ

ავსტრიის დედაქალაქ ვენის მსოფლიო ჩემპიონატში ყინულზე მოცეკვეთა შორის დიდებულად ისპარეზეს მოსკოველებმა ნატალია ლინიჩუკმა და გენადი კარპონოსოვმა. ცხრავე მსაჯმა მათ პირველობა მიანიჭა და მოსკოველებმა ქულათა საუცხოო ჯამით (207,86) მეორედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა. მეორე ადგილზე გავიდნენ ქრისტინა რეგოცი და ანდრაშ სალაი (უნგრეთი) — 204,10 (ადგილების ჯამი — 22), მესამეზე — მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ირინა მოისეევა და ანდრეი მინენკოვი —203,74 (ადგილების ჯამი — 23).

კერესის მემორიალზე

ტალინში დამთავრდა პაულ კერესის მემორიალი. ამ დიდ საშაჰდრაკო ტურნირში გაიმარჯვა ტ. პეტროსიანმა. მან 16 შესაძლებლიდან 12 ქულა დააგროვა. მ. ტალს 11,5 ქულა აქვს. რ. ვაჰანიანისა და ლ. ქრისტიანსენის (აშშ) პარტია გადაიდო. თუ ვაჰანიანი ამ პარტიას მოგებით დაამთავრებს, იგი დაიწევა ტალს და მასთან ერთად მეორე-მესამე ადგილებს გაინაწილებს.

ა. განტვარგი — ჩემპიონი

იტალიის ქალაქ არკოში დამთავრდა მატჩი მსოფლიოს პირველობაზე შაშში ანატოლი განტვარგსა (სსრ კავშირი) და ჰარმ ვირსმას (ჰოლანდია) შორის. განტვარგი ბოლო, მეექვსე ტურში მეტოქეს დაუზავდა, მან მატჩი მოიგო ანგარიშით 3,5:2,5 და მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

„გაზაფხულის მერცხლები"

ასე ეწოდება წყალმხტომელთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ყოველწლიურად მინსკში იმართება. წლევანდელი შეჯიბრების პირველ დღეს სპორტსმენები ესპარეზობდნენ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ქალთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა გ. როტემ (გდრ). ვაეკბში ყველას აჯობა ა. კოსენკოვმა (სსრ კავშირი).

ქომეშინისტი: საკვირაო საკითხავი

მ. თაქთაქიშვილი — მესამე ადგილზე

ალმა-ათაში დამთავრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი. ამ დიდ შეჯიბრებაში სსრ კავშირის ნაკრების ლირსებას საქართველოს ორი მოკრივე იცავდა — ა. ხიზანიშვილი (54 კგ) და მ. თაქთაქიშვილი (71 კგ), ხიზანიშვილი მერვედფინალში დამარცხდა. მისი მეტოქე იყო საბჭოთა ნაკრების წევრი ვ. მიროშნიჩენკო. რაც შეეხება თაქთაქიშვილს, მან მერვედფინალური ბრძოლაც მოიგო და მეოთხედფინალურიც. თაქთაქიშვილმა მეოთხედფინალში დაამარცხა ყაზახეთის წარმომადგენელი ს. ოლგარენკო და ნახევარფინალში გავიდა. ამ ეტაპზე იგი რუსეთის ფედერაციის მოკრივეს ხ. ჯაბრაილოვს შეხვდა, დამარცხდა და მესამე ადგილს დასჯერდა.

ეს შედეგი თაქთაქიშვილისთვის უთუოდ მნიშვნელოვანი წარმატებაა. ქართველი მოკრივე ამ ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო იმაღლებს ოსტატობას.

როცა ნომერი დასაგეზდად ერთ-ორ საათ-ში ბილა-ლილ-ლა

სიხარბესა შენსა...

ასეთი სათაური მისცეს საქართველოს ტელეეურნალისტებმა წუხანდელ სატელევიზიო გადაცემას, რომელიც დანაშაულის კვალდაკვალ მომზადდა და რომელიც უთუოდ გულგრილს არ დატოვებდა მაყურებელს.

1979 წლის თებერვალში რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მისაღების თანამშრომელს ქრთამზე წაასწრეს. სიხარბემ იქ შეაღწია, სადაც ყველაფერს სოციალისტური მართლმსაჯულება, კანონი და სინდისი განაგებს.

გადაცემის ავტორებმა სწორი მახვილი დასვეს და კიდევ ერთხელ აჩვენეს, თუ სადამდე შეუძლია სიხარბეს კაცი მიიყვანოს! გადაცემის ბოლო ნაწილს მაყურებელი ალიქვამდა როგორც მწვავე, სადღეისო პუბლიცისტიკასა და მებრძოლ პლაკატს.

შეჩერდი! სძლიე სიხარბესა შენსა!

შეჩერდი! დარჩი ჩვენს ლაშქარში!

ჩვენ კი იმდენი სასიკეთო და საშვილიშვილო საქმე გვაქვს გასაკეთებელი, იმდენი ბიჭუნა და გოგონა გვყავს გასაზრდელი, იმდენი სახლი უნდა ავაგოთ, იმდენი გზა უნდა გავიყვანოთ, იმდენი ბაღ-ვენახი უნდა გავაშენოთ, იმდენი ბედნიერება და სიხარული უნდა ვთესოთ და ვამრავლოთ ადამიანის საკეთილდღეოდ, რომ ერთი პატიოსანი და ღონიერი მარჯვენაც არ უნდა დაგვაკლდეს.

შეჩერდი! დადექი ჩვენს გვერდით და... ამით კიდევ ერთი გადარჩენილი კაცი — ღონიერი მარჯვენით და სუფთა სულით ამოუდგება მშობელ ხალხს.

ახალი ლექსები

ფრიდონ ხალვაში

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი

დღევანდელობა

წარსულს თუ ვეალერსებით
სიტყვით, სიმღერით, ლექსებით,
ეს მიტომ, დღეის სინათლე
უფრო და უფრო ელავდეს.
რაც, საქართველოვ, ინატრე,
მისი ახდომის სინაღდე
დაალოცვინე დღევანდელს,
თუ სუნთქავს შენი სულითა,
ლექსი რითმით თუ ურითმოდ
სულ შეგერგება, სულ გინდა.
კვლავ მერმისები გელოდეს,
როგორც მზეებით გელოდა
ეს ჩვენი დღევანდელობა!

ჯილდო

საქართველო აჯილდოებს
განა მხოლოდ შვილს და პოეტს?! —
ამბარაში გადარჩენილ
ქართულ სიტყვას აჯილდოებს.
უხარია ხიხან-სხალთის
ფიქრებს სევდად დანატოვებს,
გაღვიძებულ დანდალოში
განდელებულ ვაზის რტოებს.
გონიოში ბებერ კედლებს
ფრთას ზღვაური დაატოლებს,
ამღერება მოუნდება
სამასწლიან სიმარტოვეს.

სინაზეზე ნაზად დედა
ალერსს ჩამოიადონებს,
ახალ ნანას გამაგონებს,
კვლავ სიყვარულს შთამაგონებს.

დღეს ბოროხი კახაბერში
ჯავრის ზვირთებს დაიმღერებს,
გადარჩენილ მის სიმღერას
საქართველო აჯილდოებს.

ვიცი

თუ სამშობლო შენდებოდა
ტკივილისგან, იმედისგან,
ქვის საკვეთზე თუ წვეთავდა
სისხლი
ჩემი თითებიდან,
ყველა კვნესა, ყველა ზათქი
მარცხისა თუ დიდებისა,
სადაც ვიყო, როგორც ვიყო,
ჩემი ბედისტრიალია.

მხოლოდ იმით მდიდარი ვარ,
რომ მთაა თუ მდინარეა,
მომძახოდა დედის ხმითა,
ცრემლიანს და იარიანს:
გაიხარე, — სამშობლოსი
მიწაა თუ ნიავია,
შენი, შენი ზიარია.

ოცდაერთი

შენ, ოცდაერთო წელო, რომ დარჩი
ოცდამეერთე საუკუნემდე,
თქვი, ხომ მოარჩენ დროთაგან დაჭრილთ,
ხომ მოერევი ხენს უკურნებელს?

წელთა სიბევრე არის სიბერე,
შენ ჯეელობას გულს უბრუნებდე.
გთხოვ, ოცდაერთო წელო, სიმღერებს
ოცდამეერთე საუკუნემდე.

გულთაგან შიში გვინდა გადენო
შენ სამშვიდობო ალალ გუნებით,
ქვეყნებთან ქუხდეს ეს საქართველოც
ყველა მომავალ საუკუნემდე!

მე შენ მიყვარხარ

მე შენ მიყვარხარ, —
თუ ვიმეორებ,
მაინც ვერ ვამბობ, რაც ამ გულშია,
ვერ გასწვდა სიტყვა იმ სიფართოვეს,
ამ გრძნობას ფრთებად რომ გაუშლია.
მე შენ მიყვარხარ,
მაგრამ ეს თქმული
სხვაგან გაგონილს არ ჰგავს სრულებით.
სიტყვადაქცეული, ფიქრადქცეული
ცეცხლად ვანთოვარ და გეცხუნები.
მე შენ მიყვარხარ.
რა ტკბილად წვალობს
გული იმედის, დღე სიმარტოვის!
ეს ერთადერთი არის სამყარო,
რომელსაც ერთი ვუყვარ პატრონი.

მე შენ მიყვარხარ...
ვხედავ შენინსლულ
დუნიას, — თვალში ჭკნება უშენოდ.
ვერავითარი ძალა ვერ იხსნის,
მხოლოდ შენ ერთმა უნდა უშველო.

„ კომუნისტის" კუბლიკაცია

ფიროსმანის უცნობი ნახატი

ამ ცოტა ხნის წინათ პარიზში შემოქმედებით მივლინებაში იმყოფებოდა ლენინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ზურაბ წერეთელი. აქ, იუნესკოს შენობაში გამოფენილი იყო საბჭოთა მხატვრების ნამუშევრები. აქვე გაიცნო მან საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ანტიბიოტიკების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი სერგი ნავაშინი, რომელმაც მხატვარს სთხოვა, როცა მოსკოვში იქნებით შინ მესტუმრეთო, ამ მიპატიჟების დაფარული მიზეზი კი მაშინ არ გაამხილა მეცნიერმა.

და აი, ამ დღეებში ჩვენ პროფესორ ნავაშინს ვესტუმრეთ. იქ უკვე გველოდნენ ქართველი მხატვრები ზურაბ წერეთელი და თენგიზ მირზაშვილი, რომლებიც აღელვებას და სიხარულს ვერ ფარავდნენ. მასპინძელმა კედელთან მიმიყვანა და სარკმელი გამოაღო. ადრეული გაზაფხულის მზის სხივებმა გაანათა ოთახი. კედლიდან ნიკო ფიროსმანაშვილის უცნობი სურათი გვიღიმოდა. თითქოს სითბო დაიღვარა ოთახში, სულგანაბული შევცქეროდით სურათს. „ყარაჩოხელი ყანწით" — პირობითად ასე შეიძლება დავარქვათ. „ყარაჩოხელს" წოწოლა ქუდი ახურავს, წითელი ახალუხი აცვია და წელზე ვერცხლით მოვარაყებული ქამარი არტყია, ხელში ყანწი უჭირავს, თვალებში ფიროსმანის სითბო ჩასდგომია, ირგვლივ წითელი, ლურჯი და ყვითელი ყვავილების დღესასწაულია... ასეთივე კომპოზიციის სურათი „თავადი ყანწით" დაცულია ლენინგრადის რუსული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. აქ ალისფერი გამა და მუქი ფერები ჭარბობს. თავადის ფიგურა განსხვავდება ყარაჩოხელისაგან. ეჭვი არ არის, რომ ფიროსმანის ნამუშევარია! დღემდე არც ერთ კატალოგში და მონოგრაფიაში ეს სურათი მოხსენებული არ არის. სურათი დიდ იხტერესს იწვევს, თუმცა იგი საკმაოდ შელახულია. ფიროსმანის მემკვიდრეობას ამიერიდან კიდევ ერთი სურათი შეემატა.

ვინ არის სერგი ნავაშინი? აი მისი ცხოვრების ზოგიერთი მომენტი:

ბაბუამისი — საბჭოთა კავშირის პირველი აკადემიკოსი ბოტანიკის დარგში სერგეი გაბრიელის ძე ნავაშინი დიდხანს ცხოვრობდა თბილისში, უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. მამა — მიხეილი პროფესორი, გენეტიკოსი იყო. თბილისში მიხეილს ცოლად შეურთავს ნინო აბზიანიძე, მუსიკის მასწავლებელი. თბილისში ყოფნის დროს ნავაშინების ოჯახს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა კირილე და ილია ზდანევიჩებთან, ცნობილ პოლონელ მხატვარ სიგიზმუნდ ვალიშევსკისთან, მხატვარ დიმიტრი შევარდნაძესთან და დავით კაკაბაძესთან. პატარა სერგი ადრე დაობლდა, ნინო აბზიანიძის ახლო მეგობარმა, სიგიზმუნდ ვალიშევსკის დამ ვალერიამ იშვილა იგი და სერგის გვარს ნავაშინს პაუსტოვსკის გვარიც დაემატა, ვალერია დიდი რუსი მწერლის, საქართველოს კეთილი მეგობრის კონსტანტინე პაუსტოვსკის მეუღლე გახლდათ. ამ დროს ისინი უკვე მოსკოვში ცხოვრობდნენ.

როგორც ცნობილია პაუსტოვსკიმ ფიროსმანის ნამუშევრები 1922 წელს თბილისში ნახა ზდანევიჩების სახლში „კირპიჩნის" ქუჩაზე (ეხლანდელი ბაქრაძის ქუჩა). აი რას წერდა ამის შესახებ კ. პაუსტოვსკი: „... ფიროსმანი ჩემთვის საქართველოს, მისი ადამიანების, ისტორიის და ბუნების ცოცხალ ენციკლოპედიად გადაიქცა. მან დამაახლოვა საქართველოსთან, სადაც სახარულთან ერთად შეიგრძნობ მსუბუქ

„კომუნისტის" ბიბლიოთეკა

თურქ სენატორთა შთაბეჭდილებანი

— **საქართველოში** ყველგან ვხედავდით კმაყოფილ, ბედნიერ და შრომისმოყვარე ადამიანებს, რომლებიც ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმის ერთგული არიან და მხურვალედ ესწრაფვიან მშვიდობას, — განაცხადა ეურნალისტებთან საუბარში თურქმა სენატორმა, თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილმა სარდალმა, ავიაციის გადამდგარმა გენერალმა მუსხინ ბათურმა. მივემგზავრებით სამშობლოში და თან მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი განვავითაროთ და განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირთან თურქეთის მეგობრული ურთიერთობა.

სენატორები მუსხინ ბათური, აბდულა ქესოლუ და მუზაფერ შამილოლუ საქართველოში შვიდი დღე იყვნენ. საქართველოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ო. ი. გიგინეიშვილის თანხლებით მათ ითმაზაურეს რესპუბლიკაში.

— ყოველივე ის, რაც წამიკითხავს, მინახავს კინოში, ტელევიზიაში საბჭოთა კავშირის და, კერძოდ, საქართველოს შესახებ, თქვა ინტერვიუში აბდულა ქესოლუმ, — არაფერია იმასთან შედარებით, რაც საკუთარი თვალით ვნახე.

მუზაფერ შამილოლუმ აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ ყველაფერმა, რაც მან საქართველოში ნახა, მოლოდინს გადააჭარბა. გასაოცარია ცხოვრების დინამიკურობა, საბინაო მშენებლობის მასშტაბები, განაცხადა მან. — დავრწმუნდით, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა ადამიანები მეგობრულ კონტაქტებს, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებას. „სამუდამოდ დაგვამახსოვრდება ეს მოგზაურობა", — თქვა დასასრულ მუზაფერ შამილოლუმ. (საქინფორმი).

ფელეტონი

მტყუანი კაცის მართალი მონოლოგი

მარჯანიშვილის თეატრში ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს" ფინალი თუ გახსოვთ?...

ავანსცენაზე გამოდიოდა ნაწარმოების გმირი და პარტერს ეკითხებოდა:

— ვინ მოკლა სენიორ კომანდორი?

— ფუენტე ოვეხუნამ... — ერთხმად ყვიროდა დარბაზი, ყვიროდა ყველა, ყვიროდი მეც... თქვენი მონა-მორჩილი! ვყვიროდი იმიტომ, რომ მინდოდა მონაწილეობა მიმეღო „სამართლიან განაჩენში", რომელიც დრამატურგმა, თეატრმა და მაყურებელმა ერთხმად გამოუტანეს მოძალადე კომანდორს. როდესაც დაუწყეს ძებნა, თუ ვინ მოკლა კომანდორი, სოფელმა აღმსრულებელი კი არ დაასახელა, ერთხმად განაცხადა: „ფუენტე ოვეხუნამ!" რაც ნიშნავს, — ხალხმა, სოფელმაო!

კარგი, მსახიობებმა ასე თქვეს, ხალხმა, სოფელმა მოკლა კომანდორიო, მაგრამ, 1476 წელს ესპანეთში კაცი მოკლეს, ეს ამდენი ხალხი კი 500 წელიწადი რატომ ყვირის და რატომ ესარჩლება ამ კომანდორის მკვლელს, სოფელს...

ეს იმიტომ ხდება, რომ ყოველთვის, ყველა დროში, პატივისცემას იმსახურებდა ერთპიროვანი ხალხი, ანუ ჩვენს ენაზე, ერთიანი საზოგადოებრივი აზრი!..

ქურდს, ავაზაკს, გაიძვერას, მომხვეჭელს სოფელი აჩენს და სოფელივე სპობს...

სადაც ერთი პირია და ერთი აზრი, გინდა „ცხვრის წყარო" იყოს, გინდა „კრავის სასუფეველი", მგელი ვერ გაივლის!

სადაც ყველა თავის ნაჭუჭშია — „ქვაო, აგორდი და მე ხუ მეცემი", „ჩემი ურგები ქოთანი ქვას..." „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი", „ცხვირი რომ შუაში არ იყოს, თვალი თვალის მტერია", „წინ წყალი და უკან მეწყერი" და სხვა ასეთი აზრები მეფობენ, სადაც არ ახსოვთ, „წინა კაცი რომ უკანა კაცის ხიდია" და „ძალა ერთობაშია", იქ ჭკუა-გონება აჭრილია და ყოფილი არეული!.. ქურდისათვის ბნელი ღამეა!

დაჰკვირვებიხართ? სასამართლოს — უმაღლესსაცა და სახალხოსაც — რესპუბლიკის, ხალხის სახელით გამოაქვს განაჩენი. და იცით რატომ? არ არსებობს უზენაესი სასჯელი, ვიდრე საზოგადოებრივი ბოიკოტი, საზოგადოებისაგან მოკვეთა.

... თუ დამტაცებელს საზოგადოება ცხელი ხაჭაპურებით დახვდება ცხის კარებთან, მას მეორედაც არ გაუჭირდება იგივე ჩაიდინოს!

თუ „კარგ ბიჭს" მარტო იმას ვეძახით, ვისაც ფული აქვს, მაშინ ცა და დედამიწა ერთმანეთს უნდა აეშალოს!

აი, მაგალითად, მე... იცით თქვენ, ახლა მე საიდან მოვდივარ? ჩემი გასვენებიდან... მკვდარი ვარ, ორი საათია, რაც მიწა მომაყარეს, და ყველა წვიდწამოვიდა!.. კარგი კი ყოფილა... თავს რომ დაგანებებენ!.. ვწევარ ახლა არხეინად ჩემს საფლავში და არც ფული მაქვს მისაცემი ვინმესთვის და არც ბრილიანტი საყიდელი!..

— ?!

— გიკვირთ, ხომ?! დღეს ერთი კაცის გასვენებაში ვიყავი... მეგონა, მართლა მე მმარხავდნენ, ზუსტად ჩემი ცხოვრება ჰქონდა გაელილი, ოღონდ... მე თავის დროზე ციხეში შემაბრძანეს, ის კი დღეს ციხეგამოტოვებით აბრძანეს სასაფლაოზე!

როცა ეურნალისტები ჩვენნაირ ხალხზე წერენ, სახელებსაც რაღაც სასაცილოს ირჩევენ ხოლმე — გულსუნდოვიჩით, ან არუხდოვიჩს... რა ვიცი კიდევ რას.

იმ ცხონებულს კი თამაზი ერქვა, არც გვარად იყო ქურდიძე, ან ქაფიძე... გვარიც ჩვეულებრივი ჰქონდა... პროფესიით მხატვარი, ჩვენს ახალგაზრდობაში, რუსთაველზე ორი არ დადიოდა ისეთი ბიჭი!... ადრე დაცოლშვილდა, გოგო-ბიჭი შეეძინა, ფეხი არ ჰქონდა სახლში შედგმული, ცოლი დედამისს რომ აუხირდა, არადა, ამ დედისერთა ბიჭს რა ექნა!..

ოჯახში სულ მალე ყველა უცხო გახდა ერთმანეთისათვის!..

საბხარაძეებს შეხედე, მახარაძეებთან შედი, მანანას ქურქი ნახე, ლიას — საყურე, ზინას— ბეჭედი, იმ დღეს რა ეკიდა გულზე ნანას, ნახე?.. მე შენი ნაკეთი ჯედურობა მონის ჯაჭვივით როდემდე ვათრიო კისრით.

აქედან დაიწყო ყველაფერი და რაკი დაიწყო, ყველაფერი რაც იწყება, იზრდება... და ყვდება!..

მალე გახდა „საქმის კაცი"...

ფულის შოვნა ადვილი არავის ეგონოს! ათასნაირად შესაფერებელი და ტვინის საჭყლეტი გახდა, ვის რა უნდა, ვის რა ეკუთვნის! გაორდა კაცი... ერთხანს ეს ორი ვიღაც ეჭიდავებოდა კიდეც ერთმანეთს. მერე ფულმა და ოქრომ, ფულისა და ოქროს შენახვის საზრუნავმა მოიცვა ყველა და ყველაფერი. გაჩნდა ახალი ხალხი, ახალი ეგრეთ წოდებული „საზოგადოება", პერ-მარილი, ერთი ქალიც თვალხატულაც, დროდადრო რომ მიაკითხავდა... და აი, თითქოს არაფერი... ერთ დღეს გადაბრუნდა და... მოკვდა!

კარგა დიდი ბინიდან გაგასვენეთ, მიხაკები, სიტყვები, სადღეგრძელები ბლომად წარმოთქვეს მკვლელებმა.

— სამხარაძეებს შეხედე, მახარაძეებთან შედი, მანანას ქურქი ნახე, ლიას — საყურე, ზინას— ბეჭედი, იმ დღეს რა ეკიდა გულზე ნანას, ნახე?.. მე შენი ნაკეთი ჯედურობა მონის ჯაჭვივით როდემდე ვათრიო კისრით.

ეს ერთი ქალიც ... ეს ... ეს ... ეს